



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 24

27/08/2020

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით:

ა) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს, ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტები (შენობა-ნაგებობები) დანართის შესაბამისად;

ბ) საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა-ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით;

გ) საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი);

დ) ამ განკარგულებით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა, საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს კერძო მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე, მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში;

ე) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება აკრძალულია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე:

ე.ა) საკულტო ნაგებობებზე (ეკლესია-მონასტრები და ნებისმიერ კონფესიას მიკუთვნებული საკულტო დაწესებულებების შენობა-ნაგებობებზე),

ე.ბ) „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობებზე,

ვ) შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, რომლებშიც განთავსებულია:

ვ.ა) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და სხვა ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულება (მისი სტრუქტურული ერთეული, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირი),

ვ.ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობები; ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი),

ვ.გ) ახალციხის რაიონული სასამართლო,

ვ.დ) სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა,

ვ.ე) საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების სტრუქტურული დანაყოფები;

ზ) გარე განათების ბოძებზე;

თ) საგზაო ნიშნებზე.

2. საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების (ობიექტების) თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.akhaltsikhe.gov.ge, გამოცხადდეს საჯაროდ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N62.)

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტები		
ახალციხის მუნიციპალიტეტი	1	გასაჭიმი ბანერების განთავსება დაშვებულია დასახლებული პუნქტებში არსებულ გზებზე, არანაკლებ 3.8 მ-ის სიმაღლეზე.
ქალაქი ახალციხე	1	შალვა ახალციხელის სახელობის ტაძრის გარშემო არსებული მესერი (9 აპრილისა და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთა);
	2	რუსთაველისა და საფარის ქუჩების კვეთაზე არსებული კედელი;
	3	დიდიმამიშვილის ქუჩაზე(N10-12-ის მოპირდაპირედ), ხუთსართულიანი კორპუსის დაბლა მდებარე კედელი;
	4	რუსთაველის ქ. № 124-ის გასწვრივ არსებული კედელი (ყოფილი სასაზღვრო ნაწილი) ;
	5	თამარაშვილის ქუჩა №57-ის ქვემოთ არსებული კედელი;
	6	თამარაშვილისა და აღმაშენებლის ქუჩებს შორის არსებული საავტომობილო გზის (რკინიგზის ხიდიდან აღმოსავლეთით) მონაკვეთის გასწვრივ არსებული საყრდენი კედლები;
	7	ყაზბეგის ქუჩაზე არსებული მინი სპორტული მოედნის კედელი (საავტომობილო გზის გასწვრივ);
ქალაქი ვალე	1	სარეკლამო დაფა (ავტობუსის გაჩერებაზე);
	2	სარეკლამო დაფა მუსიკალურ სკოლასთან ;
	3	სტალინის ქუჩის გასწვრივ არსებული საყრდენი კედელი;
	4	პროფ. სასწავლებლის ყოფილი შენობა;
	5	დასუფთავების სამსახურის საქმიანი ეზოს (ყოფილი ატევის) ღობე;
	6	ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე - საყრდენი კედელი;
	7	კულტურის სახლის ტერიტორიის ღობეზე;
	8	სოფელ ვალის რიტუალების სახლის ფასადი;
	9	ქალაქ ვალის რიტუალების სახლის ფასადი;
	10	მეორე მხატვარში საბავშვო ბაღის ღობე;
	11	მეორე მხატვარში ყოფილი თაბაშირის ქარხნის ღობე;
	12	მეორე მხატვარში წერეთლის ქუჩის მიმდებარედ დაუმთავრებელი შენობის კონსტრუქციები;
	13	მესამე მხატვარში საავტომობილო გზების გასწვრივ არსებული შენობების ფასადები.
აწყური	1	სოფელ აწყურის ცენტრალური პარკის ღობე;
	2	"გადმა აწყურში" მდებარე წყაროს მიმდებარედ არსებული საყრდენი კედელი;
	3	რიტუალების სახლის ღობე;
	4	გზის საყრდენ კედლებზე.
თისელი	1	სოფლის ცენტრში წყაროს მიმდებარე ტერიტორია;
	2	რიტუალების სახლის შენობის ფასადი.
ტყემლანა	1	სოფლის ცენტრში წყაროს მიმდებარე ტერიტორია;
	2	რიტუალების სახლის შენობის ფასადი.
აგარა	1	აგარა საყუნეთს დამაკავშირებელი ხიდის მოაჯირი;
	2	ყოფილი კლუბის შენობის ფასადი.
გურკელი	1	რიტუალების სახლის შენობის კედელი.
ზიკილია	1	სკოლის მოპირდაპირე მხარეს ბეტონის კედელი;
	2	რიტუალების სახლის შენობის ფასადი.
წინუბანი	1	რიტუალების სახლის ფასადი;
	2	სოფლის სახლის მიმდებარედ არსებული სკვერის ღობე.
საყუნეთი	1	ყოფილი კლუბის აივანი.
ფერსა	1	ყოფილი კლუბის აივანი.
გიორგიწმინდა	1	რიტუალების სახლის ფასადი.
	2	მგზავრთა მოსაცდელი
მუგარეთი	1	რიტუალების სახლის ფასადი.
	2	მგზავრთა მოსაცდელი
კლდე	1	ახალგაზრდული ცენტრის მიმდებარე საავტომობილო გზის საყრდენი კედელი
	2	ცენტრში, საწყობის შენობის ფასადი;
	3	ორმილიანის წყაროსთან მოსაცდელზე;

	4	ზედა უბანში მგზავრთა მოსაცდელი;
	5	გზის საყრდენი კედელი, სოფლის ცენტრში-საბავშვო ბაღის მიმდებარედ.
	6	შუა და ქვედა უბნებში მგზავრთა მოსაცდელეები
წნისი	1	ყოფილი კლუბის შენობა;
	2	საერთო საცხოვრებელ ბინებთან- აშენებულ კედელზე;
	3	საბავშვო ბაღის ღობე.
სვირი	1	ახალგაზრდული ცენტრის ღობე;
	2	რიტუალების სახლის შენობის ფასადი;
	3	ყოფილი საბავშვო ბაღის ადმინისტრაციული და ბიბლიოთეკის შენობის ფასადი.
ზოგა	1	რიტუალების სახლის ფასადი;
	2	ყოფილი სკოლის შენობის ფასადი;
	3	მინი სტადიონის ღობე.
ტატანისი	1	საავტომობილო გზების გასწვრივ არსებული საყრდენი კედლები;
	2	ტატანისის ყოფილი სკოლის შენობის ფასადი.
ანი	1	ძირის გზის გასაყარზე მოსცდელის შენობა;
	2	რიტუალების სახლის შენობის ფასადი;
	3	ძველი კლუბის შენობის ფასადი.
ელიაწმინდა	1	მოსაცდელი შენობა;
	2	რიტუალების სახლის ფასადი.
ქვინთა	1	მოსაცდელი შენობის კედელი;
	2	რიტუალების სახლის შენობის ფასადი.
წირა	1	რიტუალების სახლის შენობის ფასადი.
წყრუთი	1	ყოფილი კლუბის შენობის ფასადი;
	2	რიტუალების სახლის შენობის ფასადი;
	3	წყრუთის სასწორის ზოძები;
	4	წყაროსთან არსებული კედელი.
მიქელწმინდა	1	რიტუალების სახლის ფასადი.
სხვილისი	1	ძველი სკოლის შენობის ფასადი;
	2	პარკის ღობე;
	3	ამბულატორიის შენობის ფასადი.
ივლიტა	1	რიტუალების შენობის ფასადი.
ზემო სხვილისი	1	რიტუალების სახლის ფასადი
	2	სტადიონის ღობე.
აბათხევი	1	სოფლის თავშეყრის ფარდული.
ნაოხრები	1	ყოფილი კლუბის შენობა;
	2	რიტუალების სახლის ფასადი;
	3	ძველი მაღაზიის ფასადი.
წინუბანი	1	სოფლის თავშეყრის ფარდული ;
	2	ძველი კლუბის შენობის ფასადი.
წყალთბილა	1	სოფლის თავშეყრის ფარდული;
	2	ყოფილი ამბულატორიის შენობის ფასადი;
	3	ძველი მეურნეობის აგტოფარების შენობის ფასადი;
	4	ყოფილი ვეტპუნქტის შენობის ფასადი;
	5	სკვერის ღობე.
ჯულდა	1	რიტუალების სახლის შენობის ფასადი;
	2	სოფლის თავშეყრის ფარდული.
დიდი პამაჯი	1	წყაროსთან ყოფილი საწყობის შენობის ფასადი;
	2	სკოლის ღობე.

ორალი	1	სოფლის სასაფლაოს პერიმეტრზე არსებული ღობე;
	2	სკოლასთან არსებული ღობე;
	3	წყაროსთან არსებული კედელი.
პატარა პამაჯი	1	ყოფილი კლუბის შენობის ფასადი;
	2	სკოლის ღობე.
ყულალისი	1	რიტუალების სახლთან არსებული კედელი;

საძელი	1	ყოფილი კლუბის შენობის ფასადი;
	2	ყოფილი ამბულატორიის შენობის კედელზე.
ხაკი	1	სოფლის რიტუალების სახლის კედლებზე;
მინაძე	1	წითელი ხიდის მოაჯირები;
	2	მგზავრების მოსაცდელი.
ღრელი	1	რიტუალების სახლის შენობის ფასადი.
ჭაჭარაქი	1	ყოფილი კლუბის ფასადი.
	2	მგზავრთა მოსაცდელი
ანდრიაწმინდა	1	რიტუალების სახლის ფასადი;
ანდა	1	სოფლის ცენტრში მდებარე წყაროსთან არსებული კედელი.
წყორძა	1	რიტუალების სახლის ფასადი;
	2	ყოფილი კლუბის შენობის ფასადი;
	3	ახალშენის წყლის გამანაწილებლის შენობა.
ურაველი	1	საბავშვო ბაღთან ღობე;
	2	გალმა უბნის ავტობუსის მოსაცდელი;
	3	რიტუალების სახლთან ღობეზე და გზის მიმდებარედ არსებული საყრდენი კედლები;
	4	ურაველში შესასვლელი ხიდის მოაჯირები.
	5	მგზავრთა მოსაცდელი
მუსხი	1	ძველი საცხოობის შენობა;
	2	კულტურის სახლის ფანჯრების მინები;
	3	საავტომობილო გზის გასწვრივ არსებული საყრდენი კედლები;
	4	მუსხის ხიდის მოაჯირები.
	5	მგზავრთა მოსაცდელი
ხეოთი	1	ცენტრში ყოფილ საწყობის შენობის ფასადი;
	2	ყოფილი მაღაზიის შენობის ფასადი;
	3	რიტუალების სახლის შენობის ფასადი.
	4	მგზავრთა მოსაცდელი